

არასამთავრობო ორგანიზაციები  
საქართველოს  
საგამოძიებო და უსაფრთხოების  
უნწყებებს, ასევე აუდიტის  
სამსახურს „პატრიოტთა  
ალიანსის“  
შესახებ „დოსიეს“ მიერ  
გასაჯაროებულ ინფორმაციაზე  
ადეკვატური რეაგირებისკენ  
მოუწოდებენ



# არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს საგამოძიებო და უსაფრთხოების უწყებებს, ასევე აუდიტის სამსახურს „პატრიოტთა ალიანსის“ შესახებ „დოსიეს“ მიერ გასაჯაროებულ ინფორმაციაზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდებენ

საგამოძიებო ჟურნალისტურმა პლატფორმამ, [DODOS.GE](#) რომლის მიზანიც კრემლის კრიმინალური ჯგუფების მხილებაა, 24 და 31 აგვისტოს ორი ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშებში [DODOS.GE](#) პატრიოტთა ალიანსის [DODOS.GE](#) კრემლთან კავშირებსა და ფინანსურ ურთიერთობებზეა საუბარი. [DODOS.GE](#) მტკიცებით, ანგარიშები, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უცხოეთის ქვეყნებთან რეგიონთაშორისი და კულტურული კავშირების სამმართველოს უფროსის, ვლადიმერ ჩერნოვის სამდივნოდან მოპოვებულ დოკუმენტებს

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ეფუძნება და მათში კრემლთან დაახლოებული ის ქსელია გამოამკარავებული, რომელიც „პატრიოტთა ალიანსთან“ ურთიერთობებს კურირებს.

ქ. [ ] მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში, სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად, სავარაუდო დანაშაულის ნიშნების შემცველი გარემოებებიც იკვეთება (სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) და 319-ე (უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება) მუხლები):

- ქ. [ ] ალიანსის [ ] წინასაარჩევნო კამპანიას კოორდინირებას მოსკოვიდან რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია უწევს. ქ. [ ] ინფორმაციითვე, ჩერნოვის სამმართველოში წამყვანი თანამდებობები უსაფრთხოების სამსახურების ყოფილ თანამშრომლებს უკავიათ. ქ. [ ] ალიანსმა [ ] წინასაარჩევნოდ რუსეთისგან საკმაოდ სოლიდური დაფინანსება მოითხოვა (8 430 625 აშშ დოლარი). ანგარიშის თანახმად,

ქ. [ ] ალიანსის [ ] საარჩევნო კამპანიისთვის ჩერნოვის ოფისმა კრემლთან დაახლოებული საარჩევნო ექსპერტი, სერგეი მიხეევი დაიქირავა, რომელსაც ჩერნოვის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი, ვალერი ჩერნიშოვი და ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის პოლკოვნიკი, ვალერი მაქსიმოვი ხელმძღვანელობენ.

- რუსმა კონსულტანტებმა ქ. [ ] ალიანსისგან [ ] ქართველი ამომრჩევლების მონაცემები მოითხოვეს (მოთხოვნილ მონაცემებში შედის ამომრჩეველთა პირადი მონაცემები, მისამართები და მათ სახლებში არსებული სადარბაზოებისა და სართულების რაოდენობა) და პარტიისგან ამ მონაცემების გადაცემის პირობა მიიღეს.

საქართველოს საგამოძიებო და უსაფრთხოების უწყებებს გამოქვეყნებულ მასალებზე ამ დრომდე, არათუ საგამოძიებო მოქმედებები არ დაუწყიათ, არამედ ოფიციალური განცხადებაც კი არ გაუვრცელებიათ. ერთადერთი რეაგირება ამ საკითხზე, ქ. [ ] საქართველოს [ ] დეპუტატის, ელენე ხოშტარიას წერილზე, რომელშიც ის ქ. [ ] ალიანსის [ ] რუსეთიდან შესაძლო დაფინანსების გამოძიებას ითხოვდა, პროკურატურის ფორმალური პასუხი გახლდათ. პასუხის თანახმად, პროკურატურამ აღნიშნული მოთხოვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, როგორც პოლიტიკური პარტიების ფინანსურ-სამართლებრივ საკითხებზე პასუხისმგებელ ორგანოსთან, გადაამისამართა.

მიგვაჩნია, რომ ქ. [ ] გამოქვეყნებული ანგარიშების გამოძიების აუდიტის სამსახურისთვის გადაცემა და მისი მხოლოდ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ჭრილში განხილვა არ არის საკმარისი, რადგან კვლევაში გამოქვეყნებული მასალების



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გაასაჯაროვოს, რათა ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში, ერთი მხრივ, დროულად მოხდეს შესაბამისი სანქციების დაკისრება და, მეორე მხრივ, ამომრჩეველს მიეცეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება.

**საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)**

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)**

**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)**

**მედიის განვითარების ფონდი (MDF)**

**ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)**

**რონდელის ფონდი (GFSIS)**

**ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)**

**სამოქალაქო იდეა**

**საქართველოს ატლანტიკური საბჭო**

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)**

**საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)**

**დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)**

**საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)**

**ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRDIC)**

**საფარი**

**ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)**

**ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)**